აგრო ინვესტიციები

GEFF Green Economy Financing Facility

European Bank for Reconstruction and Development

# გახადეთ თქვენი აგრობიზნესი უფრო მდგრადი და ეფექტური



GEFF-ის დაფინანსებითა და თანამედროვე ტექნოლოგიებით, თქვენი აგრობიზნესი კონკურენტულ უპირატესობას მოიპოვებს.

პროექტის მხარდამჭერები:

GREEN CLIMATE FUND

Federal Ministry Republic of Austria Finance

- **თუკი გაქვთ ფერმა და გინდათ, რომ მოსავლიანობა გაზარდოთ**
- **თუკი გსურთ ენერგო ხარჯების შემცირება და პროცესების გაუმჯობესება**
- **თუკი ყურადღებას აქცევთ ჩვენს გარემოსა და ეკოლოგიას**

## GEFF პროგრამა თქვენთვისაა!

**მწვანე ეკონომიკის დაფინანსების პროგრამა ანუ GEFF** არის EBRD-ის პროდუქტი, რომელიც თანამედროვე ტექნოლოგიებში ინვესტირების მეშვეობით ბიზნესების კონკურენტუნარიანობის ზრდასა და მათ მდგრად განვითარებას უწყობს ხელს. GEFF 155-ზე მეტი პარტნიორი საფინანსო ორგანიზაციის მეშვეობით აწარმოებს საქმიანობას მსოფლიოს 27 ქვეყანაში. 202,000-ზე მეტი ინვესტიციის განხორციელების გზით, $CO_2$ ყოველწლიური გამოყოფა შემცირებულია 9 მილიონი ტონით.

## თანამედროვე ტექნოლოგიების მნიშვნელობა აგრო სფეროსთვის:

აგრობიზნესში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას რამდენიმე უპირატესობა აქვს:

- იგივე სიმძლავრის მიღება, ნაკლები რესურსის (წყალი, საწვავი) გამოყენებით
- სასუქებისა და საკვები ნივთიერებების გამოყენების შემცირება
- მოსავლის მთელი წლის განავლობაში მოყვანა ნაკლები ხარჯით

## რა ტექნოლოგიების შეძენა შეიძლება GEFF დაფინანსებით:

| ტექნოლოგია | უპირატესობა | სარგებელი |
|---|---|---|
|  ტრაქტორები/ კომბაინები/ მოსავლის ასაღები მანქანები | GEFF დაფინანსებით შეძენილი მანქანები, იგივე სიმძლავრით მუშაობენ, თუმცა გამოიყენებენ ნაკლებ საწვავს | დაზოგეთ 20%-მდე საწვავი |
|  სარწყავი სისტემები | წვეთოვანი სარწყავი სისტემა მნიშვნელოვნად ზოგავს წყალსა და ენერგიას, ამცირებს ნიადაგის მარილიანობასა და ეროზიის საშიშროებას | წყლისა და ენერგიის ყოველწლიური დანაზოგი 15% შეადგენს |

| ტექნოლოგია | | უპირატესობა | სარგებელი |
|---|---|---|---|
|  | სასათბურე სისტემები | დაამონტაჟეთ ენერგო-ეფექტური ბოილერები, რომლებიც სითბოს ოპტიმალურად აწვდის მთელს ფართს | ენერგიის 24% დანაზოგი |
|  | შენახვის ოპტიმიზაცია | შეინახეთ თქვენი მოსავალი ენერგოეფექტურ საწყობებში | შეამცირეთ ენერგიის მოხმარება 15%-ით |

## არსებობს GEFF ფინანსირების ორი გზა:

წინასწარ განსაზღვრული ინვესტიციები. თუ თქვენ იცით რომელი თანამედროვე ტექნოლოგიის შეძენა გსურთ, თქვენ შეგიძლიათ მოძებნოთ ის **მწვანე ტექნოლოგიის სარჩევში**, სადაც დაგხვდებათ ყველა ის ტექნოლოგია, რომელიც, $300,000 (ან ექვ. სხვა ვალუტაში) ფარგლებში, წინასწარ დამტკიცებულია GEFF ფინანსირებისთვის.

უფასო ტექნიკური კონსულტაციის ფარგლებში შეფასებული ინვესტიციები. თუკი თქვენ გაქვთ პროექტი, რომელიც მრავალი კომპონენტისგან შედგება, თქვენ შეგიძლიათ GEFF-ის **უფასო კონსულტაცია** მოითხოვოთ, რის შედეგადაც GEFF-ის ექსპერტები გააანალიზებენ თქვენს პროექტს და საუკეთესო გადაწყვეტილებებს შემოგთავაზებენ.

## GEFF დაფინანსების წარმატებული მაგალითი ღვინის ინდუსტრიიდან:

| | |
|---|---|
| ინვესტიცია | საამწყობო ხაზი და ჩამოსასხმელი დანადგარი |
| ინვესტორი | საქართველოს ვაზისა და ღვინის ჯგუფი |
| ბიზნესის ტიპი | ღვინის წარმოება |
| აღწერა | ენერგო მოხმარების 60%-ით შემცირება და შედეგად მიღებული €61,000 წლიური დანაზოგი |
| ინვესტიციის მოცულობა | € 680,000 |
| ენერგოდანაზოგი | 1,137,511 მგვტსთ/წელიწადში |
| $CO_2$ დაზოგვა | 455 ტონა წელიწადში |
| უკუგების პერიოდი | 10 წელი |



## როგორ ვისარგებლოთ GEFF დაფინანსებით?

I. შეარჩიეთ თანამედროვე ტექნოლოგია მწვანე ტექნოლოგიის სარჩევიდან ან პირდაპირ მიმართეთ მომწოდებელს

II. შეაჯერეთ თქვენი პროექტის ფინანსური და ტექნიკური მოთხოვნები

III. მიმართეთ ჩვენს პარტნიორ ფინანსურ ინსტიტუტს: https://ebrdgeff.com/georgia/financing/

IV. საჭიროების შემთხვევაში, მოითხოვეთ GEFF-ის ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების უფასო ტექნიკური შეფასება

V. მიიღეთ სესხი

VI. დაამონტაჟეთ ტექნოლოგია

VII. ისიამოვნეთ გრძელვადიანი ენერგოდანაზოგით



შეკითხვებისა და დამატებითი ინფორმაციისათვის, გთხოვთ მოგვწეროთ. ჩვენი გუნდი სიამოვნებით დაგეხმარებათ.

GEFF საქართველოში
თამარაშვილის ქ. 13ა | თბილისი, საქართველო
georgia@ebrdgeff.com | +995 32 2290809 | www.ebrdgeff.com/georgia